

Manana Kvataia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

On the Relationship of Existential Vectors of the Literary and Political Fields of the “Happy Martyr”

According to Bismarck’s famous saying “politics is not a science, but an art”. Hence, it is closely related with all spheres of the man’s spiritual life, including literature. Georgian classic Otar Chiladze considers that a mission of the writer, and in general, the creator, is “compassion, encouragement of a man who has fallen into the labyrinth of life”. When discussing the aspects of Georgia’s political field in the 1980s and 1990s, Otar Chiladze singles out new mainstream vectors of the country and points out that a national movement cannot be brutal and any cruelty towards it makes it even more inevitable. Considering the global issues, Otar Chiladze notes that the salvation for modern humanity facing great challenges is rooted in a word “love” as a step towards loving your neighbors.

Key words: Literary and political fields, mission of the writer, “Happy martyr”.

მანანა კვათაია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ბედნიერი ტანჯულის“ ლიტერატურულ და პოლიტიკურ ველთა ექსისტენციური ვექტორების მიმართებისათვის

ლიტერატურული ტექსტების თანამედროვე კვლევები სხვა ინტერდისციპლინური მონაცემების გამოყენებასთან ერთად აქტიურად ითვალისწინებს სოციალურ მეცნიერებათა, მათ შორის, პიერ ბურდიეს სოციალური ანალიზის (კერძოდ, ველის თეორიის) პოსტულატებს. ფრანგი სოციოლოგი განმარტავს, რომ ველი არის ძალთა ურთიერთობა და ბრძოლის სივრცე, ველთაგან სხვაზე მეტი მნიშვნელობა ძალაუფლების (პოლიტიკის) ველს აქვს.

ბურდიეს დეფინიციით, სოციალური რეალობა „სოციალურ სივრცეს“ წარმოადგენს, რომელსაც ახასიათებს ორმაგობა: ერთსა და იმავე დროს როგორც „წმინდა“ სოციალური, ისე ფიზიკური პლანის არსებობა. ამის გამოხატულება სოციალური სივრცის პოზიციებსა და დისპოზიციებს შორის არსებული განსხვავებაა: პოზიცია ასახავს სინამდვილის რეალურ ადგილს, დისპოზიცია – მის წარმოდგენას თავისი მდგომარეობის შესახებ, ასევე, მოქმედების, აზროვნებისა და შეფასების სქემებს. პოზიციათა ერთობლიობა წარმოადგენს სოციალური სივრცის ობიექტურ ჭრილს, დისპოზიცია – მის სუბიექტურ მხარეს. სოციალური ველი – ეს ლოგიკურად გააზრებული სტრუქტურაა, თავისებური გარემო, რომელშიც სოციალური ურთიერთობები და მიმართებები ხორციელდება.

სოციუმის (სოციალური სივრცის) ორმაგობის გადალახვის საშუალებად ბურდიე მიიჩნევს Habitus-ს (ლათ. – თვისება, მდგომარეობა, ვითარება). თავის მხრივ, სპეციალურ ლიტერატურაში ამ ცნებას განიხილავენ, როგორც „მენტალურ ან კოგნიტურ სტრუქტურებს“, რომელთა საშუალებით ადამიანები სოციალურ სინამდვილეში ორიენტირებენ და მომავალს პროგნოზირებენ. ფრანგი სოციოლოგის თქმით, „ჰაბიტუსი არის ტრანსცენდენტური, მაგრამ ისტორიულად ტრანსცენდენტური, რომელიც მჭიდრო კავშირშია ველის სტრუქტურასთან და ისტორიასთან“.

ნებისმიერი ველის ანალიზისათვის ბურდიე გვთავაზობს სამსაფეხურიან პროცესს: პირველ ეტაპზე ფიქსირდება ძალაუფლების ველის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა და ანალიტიკოსი თვალს ადევნებს ნებისმიერი ველის მიმართებას პოლიტიკურ ველთან. მეორე ეტაპზე დგინდება ველის ჩარჩოები, მესამეზე კი ანალიტიკოსი განსხვავებული პოზიციების მქონე აგენტების ხასიათში გარკვევას უნდა შეეცადოს.

ლიტერატურათმცოდნეობაში ველის თეორიის პოსტულატებისა და ტერმინოლოგიის გამოყენება, ვფიქრობთ, განსაკუთრებით ეფექტურია პუბლიცისტური ნარატივის კვლევისას, რადგან ეს ის სივრცეა, სადაც პოლიტიკურ, სოციალურ, ლიტერატურულ თუ სხვა ველთა ვექტორები ერთმანეთს გადაკვეთს და ფარავს.

პუბლიცისტურ ტექსტებს თანამედროვეობის მატიანეს უწოდებენ, სადაც ავტორის ინდივიდუალობა აღიბეჭდება. ახალი დროის პუბლიცისტიკა პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს

და თანამედროვე საზოგადოების ორიენტირების, იდეების თუ განწყობილებებთან ცვლილებებს ასახავს. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, პუბლიცისტურ სტილს სოციალურ სტილსაც უწოდებენ. მის დისკურსში ერთმანეთს ერწყმის ენის ორი ფუნქცია: ინფორმირების და ზეგავლენისა. ეს უკანასკნელი კი პუბლიცისტური სტილის ექსპრესიულობას განსაზღვრავს. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულების საქართველოს რეალობაში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესების სიღრმისეული კვლევითა და გამოხატვის ექსპრესიულობით გამოირჩევა ოთარ ჭილაძის პუბლიცისტური და ესეისტური ნარატივი – ერთგვარი ორიენტირი ქვეყნის წარსულის, აწმყოს თუ მომავლის გააზრებისათვის.

ზაალ ანდრონიკაშვილი წერილში „ინტელექტუალები და ინტელიგენცია“ პიერ ბურდიეს „ხელოვნების ველის“ კონცეფციაზე დაყრდნობით შემოქმედთა ორ კატეგორიაზე მსჯელობს: ერთ პოლუსზე ავტონომიური ხელოვანნი დგანან, რომლებიც ამ დარგის კანონებს მხოლოდ ხელოვნების კარნახით ქმნიან, ხოლო მეორეზე – ჰეტერონომიურები, ე.ი. ისინი, რომელთა „ნომოსს“ პოლიტიკური ძალაუფლება განსაზღვრავს („სახელისუფლებო ინტელექტუალები“). ეს უკანასკნელნი ჭარბად სარგებლობენ პრივილეგიებით თუ სახელმწიფო რესურსებით, ავტონომიურად მოაზროვნთ კი სიმბოლური კაპიტალი აქვთ, რომელიც სწორედ მათი დამოუკიდებლობიდან მომდინარეობს (ანდრონიკაშვილი.. ინტერნეტი). აზროვნების სტილითა და გამოხატვის უკომპრომისობით ოთარ ჭილაძე ავტონომიურ, თვითმყოფად შემოქმედთა საპატიო რიგებში დგას.

ბისმარკის ცნობილი დეფინიციით, პოლიტიკა არ არის მეცნიერება, ის ხელოვნებაა. შესაბამისად, იგი მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის სულიერი ცხოვრების ამსახველ ყველა სფეროს, მათ შორის, ლიტერატურას. ოთარ ჭილაძის მოსაზრებით, მწერლობის, თუ ზოგადად, შემოქმედთა, დანიშნულება გაცილებით მასშტაბურია: ეს გახლავთ „თანაგრძნობა, გამხნეება ცხოვრების ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანისა“. ამავე დროს, ტექნიკის განვითარებისა და მასობრივი კულტურის საზღვრების გაფართოების პირობებში მწერალი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს მშობლიური ენის, ფსიქიკისა და ტრადიციის როლს. ამ ფუნდამენტურ ცნებებს ოთარ ჭილაძე „წმინდა სამებას“ უწოდებს, რომლის მეშვეობითაც ყოველი

პიროვნების საფუძველთა საფუძველი ყალიბდება. მწერლის ოპტიმისტური დასკვნით, ყველაფრის მიუხედავად, კაცობრიობა უკვდავებისთვისაა „განწირული“, ხოლო ამ უკვდავების საიდუმლო ადამიანის სულში იმალება.

კლასიკოსი მწერლის მსოფლალქმის, მოქალაქეობრივი და ადამიანური პოზიციების განსაზღვრისათვის კონცეპტუალურია მისი პუბლიცისტური წერილებისა და ინტერვიუების კრებული „ბედნიერი ტანჯული“ (ჭილაძე 2003). წიგნის სათაურის მეტაფორას თავად ავტორი ხსნის. კავკას სიტყვებში – „სიმართლე მხოლოდ ისაა, უფანჯრო და უკარო საკნის კედელს თავით რომ ეხეთქებო“ – მწერალი ბარათაშვილისეულ ტრაგედიას ხედავს. ადამიანის უმწეობით გამოწვეულ ამ ტკივილს ოთარ ჭილაძე ზოგადსაკაცობრიო ტკივილს უწოდებს და, მისი თქმით, „კაცი, რომლის სულსა და გონებაში ის ჩასახლდება, მსხვერპლია, წმინდანია, გნებავთ, ბედნიერი ტანჯულია, ჯოჯოხეთურ კოცონზე თავისი ნებით ასული“ (ჭილაძე 2003: 10). მწერლის აზრით, ბედნიერი ტანჯულია გალაკტიონი, „სულიერი დახვეწილობის, სულიერი წრთობისა და სულიერი სიდიადის გამონაშუქი“.

მანანა კვაჭანტირაძის დეფინიციით, „ოთარ ჭილაძე მთელი ლიტერატურული ეპოქაა“, რაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც საყოველთაოდ აღიარეს. დანიურ ენაზე „რკინის თეატრის“ გამოქვეყნებისას ქართველი კლასიკოსის შემოქმედება შეუფასებიათ, როგორც „დიდი ლიტერატურა“. „მისი ტექსტის ყოველი წერტილი გრძნობს, რომ მთლიანობის, სისტემის ნაწილია. ერთიანობის ეს შეგრძნება, რომელიც ჭილაძის ტექსტებიდან მოდის, თავისი ბუნებით კოსმიურ წესრიგს გავს, ქაოსს რომ უპირისპირდება და ამით სიცოცხლეზე იღებს პასუხისმგებლობას“ (კვაჭანტირაძე 2013: 187).

ეს სიტყვები ოთარ ჭილაძის პუბლიცისტურ თუ ესეისტურ მემკვიდრეობაზეც ითქმის, რომელიც თემატური მრავალფეროვნებითა და აქტუალობით გამოირჩევა და კონცეპტუალურ მოსაზრებათა ვრცელ არეალს მონიშნავს. ავტორი ღიად გვე-საუბრება ლიტერატურის თუ მწერლის დანიშნულებაზე, თავისუფლების, მონობის კონცეპტებზე, ეროვნულ მითოლოგიასა და მედეას ფენომენზე, ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის, სახელ-

მწიფობრივი ატრიბუტიკის საკითხებზე, საქართველოს თუ თანამედროვე მსოფლიოს მრავალ საჭირობოროტო პრობლემაზე. მწერლის პუბლიცისტურ-ესეისტური ნააზრევი თამამად, პირუთვნელად გამოკვეთს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ლიტერატურული და პოლიტიკური ველების ექსისტენციურ მარკერებს.

მისი, როგორც შემოქმედის, ჩამოყალიბებაში ოთარ ჭილაძე გადამწყვეტ როლს საკუთარი სამშობლოს ბედს ანიჭებს. „როცა საქართველოს ისტორიას კითხულობ, ძალაუნებურად მითოლოგიურად იწყებ აზროვნებას“, – წერს იგი და აღნიშნავს, რომ მისი მიზანი არასოდეს ყოფილა ისტორიული ნაწარმოების შექმნა, ამ სიტყვის მკაცრი და პირდაპირი გაგებით. ოთარ ჭილაძე შენიშნავს, რომ ზოგადად, ლიტერატურის და, ამდენად, ისტორიული პროზის ცენტრში ყოველთვის ადამიანი დგას, თუმცა არ არის აუცილებელი, ის ნამდვილად ისტორიული პიროვნება იყოს. ქართველი კლასიკოსის თქმით, იგი სიტყვითაც და საქმითაც მხარს უჭერს ტრადიციულ რომანს, რადგან, მისი განსაზღვრებით, ის თავის თავში თანამედროვე რომანის ყველა სახეობას მოიცავს, თუმცა, რაც დღეს იქმნება, ყველა თანამედროვე ტექსტი როდია.

ილია ჭავჭავაძის ფენომენზე მსჯელობისას მწერალი აღნიშნავს, რომ „ყველა ლიტერატურას თავისი განსაკუთრებული წარმომადგენელი ჰყავს, რომელიც ზოგადსაკაცობრიო მაგალითიც არის საერთოდ მწერლობისა და საერთოდ საზოგადო მოღვაწეობისა“ (ჭილაძე 1998: 12). ამგვარ რჩეულ შემოქმედთ ხელეწიფებათ, მკითხველი „უკეთესი ქვეყნის“ არსებობაში, დროსა და სივრცეზე გამარჯვების შესაძლებლობაში დაარწმუნონ. ამასთანავე, ოთარ ჭილაძე ფიქრობს, რომ „ნებისმიერ შემოქმედს.. ქმნის გარკვეული კულტურა, ენა, ფსიქიკა“ (ჭილაძე 1998: 41). ავტორი შემოქმედთა შორის არსებულ ორგანულ კავშირზეც მიუთითებს. მისი აზრით, ყველა წინამორბედ მწერალს შემდგომთათვის მასწავლებლის ფუნქციაც აქვს: წინამორბედნი გვასწავლიან, თუ როგორ არ უნდა ვწეროთ. ოთარ ჭილაძის მოსაზრებით, ლიტერატურის განვითარებისათვის ასევე აუცილებელია გავლენები, აქ ლიტერატურის მარადიულობის საიდუმლოც იმალება, თანაც „მწერლის მიერ შექმნილი სინამდვილე გაცილებით ცოცხალი და საინტერესოა“.

დედამიწის ნებისმიერ კუთხეში შექმნილ ყველა კარგ რომანს ოთარ ჭილაძე საერთაშორისო დღესასწაულად მიიჩნევს. მწერალი ფიქრობს, რომ მკითხველია ლიტერატურული ტექსტის მთავარი შემფასებელი: „მკითხველში მე იმ იშვიათ არსებას ვგულისხმობ, რომელიც ძირითადად ისე ფიქრობს და აზროვნებს, როგორც თავად მწერალი, უფრო სწორად, როგორც მწერალს სურს“ (ჭილაძე 2003: 51). შემოქმედი გლობალურად გაიაზრებს მწერლის უმთავრეს – სიცოცხლის გადარჩენის – მისიას, რაც, მისი თქმით, „უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მეობის, ჩვენი თავისთავადობის გადარჩენას ნიშნავს“ (ჭილაძე 2003: 84).

„ბედნიერი ტანჯულის“ ცალკეულ მონაკვეთებში მწერლის Pro domo sua-ს შტრიხებიც იკვეთება. აქ ავტორი თავისი ორიგინალური მსოფლგანცდის თუ შემოქმედებითი თვითმყოფადობის ენიგმურ სიღრმეებს გვაცნობს. „პირადად მე ადამიანი მაინტერესებს დროისა და სივრცის უსასრულობაში“, – წერს იგი და, დროთა უცვლელობის რწმენიდან გამომდინარე, დაასკვნის: „ადამიანი მხოლოდ გარეგნულად ემორჩილება ცვალებადობას, ხოლო შიგნით, სულის სიღრმეში ახლა ისეთივეა, როგორც თავიდანვე „შექმნა ღმერთმა“ (ჭილაძე 2003: 30). ამით ხსნის მწერალი მის გატაცებას ისტორიითა და მითოლოგიით.

მითოლოგიური გარემო მწერალს ქართული სულის თავგადასავლის აღნუსხვაში ეხმარება უპველესი დროიდან დღემდე. მისი შთაგონების წყაროა პირველი ქართული სახელმწიფო – მითიური კოლხეთი, რადგან, მისი თქმით, მითიდან იღებს სათავეს ხალხის სული. ოთარ ჭილაძის განმარტებით, „რაც ისტორიას ეკუთვნის – მარადიულია, ანუ დასრულებული, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი“, შესაბამისად, „ლიტერატურას უფრო წარმავალის მარადიულობა აინტერესებს, უფრო, ვნება, გრძნობა, განცდა“ (ჭილაძე 2003: 31). შემოქმედი მიუთითებს, რომ მისი ყურადღების არეალშია „მარადიულობა ადამიანური ვნებებისა, გრძნობებისა, მისწრაფებებისა, რომლებიც თითქოს ადამიანის მი-წიერ სიცოცხლესთან ერთად მთავრდება, ქრება, მაგრამ ადამიანიდან ადამიანში, სიცოცხლიდან სიცოცხლეში გადადის“ (ჭილაძე 2003:257).

„ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტთან საუბარში მწერალი „აველუმს“ საკუთარი რომანების დამაგვირგვინებელს

უწოდებს. აქვე ის განმარტავს, რომ მისი „ყველა რომანის მთავარი გმირი ერთი და იმავე სულის მატარებელი პიროვნებაა, უფრო სწორად, ერთი და იგივე, ანუ მარადიული სული ხალხისა ერთი გმირიდან მეორეში გადადის“ (ჭილაძე 2003: 256).

გერმანული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში ოთარ ჭილაძე კონცეპტუალურად განიხილავს მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ტრაგიკული, მაგრამ ძალზე ორიგინალური გმირის – მედეას სახეს, გმირისა, რომელიც უპირველესად „საკუთარი გრძნობებისადმი უსაზღვრო ერთგულებით“ გამოირჩევა. შემოქმედი ქედს იხრის მისი „მარად მშფოთვარე სულის წინაშე“, რადგან ის „ამყად დგას საკუთარი სიმარტოვის მოედანზე“. ავტორის აზრით, „მედეა ბუნებით არ არის მკვლეელი“, მას სხვებისაგან „შეუძლებლისკენ სწრაფვა, წარმოუდგენელის წარმოდგენა, მიუღწევლის მიღწევა გამოარჩევს“.

თავისუფლების კონცეპტის კვლევისათვის მწერალი ისევ ანტიკურ სამყაროს მიმართავს და დედალოსის მითიურ ხატს გამოიხმობს. ეს გმირი მისთვის თავისუფლების სიმბოლოა, დაჟინებული შეხსენება იმისა, რომ „თავისუფლების სიყვარული და მონობის სიძულვილი შეუძლებელს შეაძლებინებს ადამიანს“. მეტიც, მწერლის ხატოვანი ფრაზით, „დედალოსმა ყველა ჩვენგანს აჩუქა თითო ბუმბული თავისი ფრთისა“. დედალოსის საპირისპირო მოვლენა გახლავთ ტალოსი (იგივე იკაროსი), კაცობრიობის სამირკველს კი ეს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ვნება ქმნის და „მხოლოდ მათი დაპირისპირება აწონასწორებს მის მარადიულობას“, – აღნიშნავს მწერალი.

მსგავს პარადიგმათა არსს მწერალი „ბედნიერი ტანჯულის“ სხვა ტექსტებშიც იკვლევს. მისი დაკვირვებით, განსაცდელში მყოფ კაცობრიობას დღეს, როგორც არასოდეს, თანაგრძნობა და სიყვარული ესაჭიროება, რადგან ამჟამინდელი ყოფის ბევრი ხარვეზი სწორედ ყველანაირი სიყვარულის გაიშვიათების შედეგია. მეტიც, უსიყვარულობა ჩვენი დროის ყველაზე დიდი ტრაგედიაა, რადგან ადამიანი მარადიულობის შეგრძნებას კარგავს და „გამწარებული აფრინდება წარმავალს“. შესაბამისად, ოთარ ჭილაძისათვის მწერლის მთავარი ამოცანა სიყვარულის სამსახურია, რადგან „ლიტერატურა.. სიყვარულის ისტორიაა და სხვა

არაფერი“. „ჩემთვის ის გადამრჩენი სიტყვა „სიყვარულია“ – მოყვასისაკენ გადადგმული ნაბიჯი, – შენიშნავს იგი.

ესეში „სიცოცხლისათვის“ (1988) ოთარ ჭილაძე გლობალურ პრობლემატიკას იკვლევს. საქართველოს პოლიტიკური ველის მწვავე კრიზისის ჟამს, კერძოდ, 1995 წელს, გაზეთ „კავკასიონის“ კორესპონდენტის შეკითხვების ანალიზისას შემოქმედი მწერლებისა და პოლიტიკოსების მსოფლადქმის განსხვავებებზე მსჯელობს. მისი თქმით, პოლიტიკოსი ცდილობს „თავისი ჭეშმარიტი მიზნის შენიღბვას... მწერალი ასევე ყველა ღონეს ხმარობს სწორედ თავისი ფარული მიზნის რაც შეიძლება ნათლად გამოსახატავად“ (ჭილაძე 2003: 235). შესაბამისად, საჭირბოროტო პრობლემათა გააზრების პროცესში მწერლობა და პოლიტიკა ერთმანეთს ავსებს.

1990-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ველის ურთულესი სურათის არსებითი მომენტების ღრმა ანალიზით გამოირჩევა ესე „რაკი ვხედავ და მესმის“ (1992). ოთარ ჭილაძე გულისტკივილით წერს სამოქალაქო დაპირისპირებაზე, რომლის ფესვებს ის სხვა ეპოქებშიც ხედავს. მწერალი თანამემამულეებს ამგვარი ურთიერთშუღლის სავალალო შედეგებზე აფრთხილებს და წერს: „ჩვენი ომი იმითაცაა განსაკუთრებული, ნებისმიერი მხარის გამარჯვება საერთო უბედურებად რომ შეიძლება იქცეს, ანუ იძულებითი მონობა ნებაყოფილობით მონობით შეიცვალოს“ (ჭილაძე 2003: 206). შემოქმედი მიიჩნევს, რომ, როდესაც საქმე ერს ეხება, საზიანოც კი არის მოწოდება, რომელიც „სახელოვან სიკვდილს სამარცხვინო სიცოცხლეზე მაღლა აყენებს“. მისი აზრით, ეს თეზა პიროვნებას უფრო შეეფერება, ვიდრე ხალხს.

ოთარ ჭილაძე თავისუფლებისა და დემოკრატიის მოპოვების მეთოდებს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება. მისთვის მიუღებელია სისხლიანი გზა, რადგან „სისხლი მხოლოდ მხეცს აღვიძებს ჩვენში“. მწერალი ურთიერთმიტევებისა და დანდობის აუცილებლობას ქადაგებს, რადგან, მისი აზრით, უამისოდ „ადამიანი, რაც არ უნდა ცუდი ცხოვრებით ცხოვრობდეს, უაღრესად საცოდავი არსებაა“. ჩვენ კი, მწერლის თქმით, „თავისუფლებაც და დემოკრატიაც ადამიანობის გადასარჩენად გვინდა“. ამვე დროს, ნებისმიერი დაპირისპირება ერს თავისუფლების გზას ააცდენს.

ერთი შეხედვით, პარადოქსულია ოთარ ჭილაძის სიღრმისეული დაკვირვება: „გაცილებით ძნელია ერთი ადამიანის გაადამიანება,

ვიდრე მთელი ხალხის გაპირუტყვება“. მწერალი მართებულად ფიქრობს, რომ „ეროვნული მოძრაობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს სასტიკი“, რადგან „ნებისმიერი სისასტიკე... მხოლოდ და მხოლოდ აღვივებს, კიდევ უფრო გარდუვალს ხდის მას“ (ჭილაძე 2003: 219).

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ ოთარ ჭილაძე მთელი არსებით შეძრა და აღშფოთებულ მწერალს ხმამაღლა ათქმევინა: „ვგმობ სისასტიკეს!“ თავის რადიოგამოსვლაში მან გაბედულად განაცხადა, რომ გაჩუმება აღარ შეუძლია, რადგან „საერთოდ საქართველოს ხვალინდელი დღეა საფრთხეში“. 9 აპრილის სისხლიან ღამეს მწერალმა „ბართლომეს ღამე“ უწოდა და ტკივილიანი, მკაცრი სიმართლით შეაფასა იგი: „ჩვენ კი არ დაგვსაჯეს, როგორც პოლიტიკური დამნაშავენი, არამედ ბნელში, ფაცაფუცით, გაუსამართლებლად ამოგვხოცეს, როგორც ქვეწარმავლები. ჩვენი ყველაზე დიდი დანაშაული კი თავისფლებისაკენ სწრაფვა იყო და სხვა არაფერი“ (ჭილაძე 2003: 154).

1989 წლით თარიღდება ოთარ ჭილაძის „ღია წერილი ინგლისელ მეცნიერს, ბატონ ჯორჯ ჰიუიტს“, რომელიც დაიწერა იმავე წლის 21 ივლისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ვრცელი პუბლიკაციის პასუხად, რომლის სათაურია „უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დამაბულ ურთიერთდამოკიდებულებაზე“. გზავნილში ინგლისელი ქართველოლოგი ქართველებს აფხაზთა შევიწროებაში სდებდა ბრალს. ჯორჯ ჰიუიტთან პაექრობისას ოთარ ჭილაძე პირადულ მოტივს გამორიცხავს. ის გაოცებულია, რომ მეცნიერი, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა, გულგრილი და უგრძობელი დარჩა „ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ბედისა და უბედობის მიმართ“. მწერალს ასევე უკვირს, ჰიუიტი თავს უფლებას რომ აძლევს, მთელ ხალხს „ჩაუდენელი დანაშაულის მონანიებაც მოსთხოვოს“.

დიდი ტკივილისა და სევდიანი განწყობის მიუხედავად, ოპტიმიზმითაა გაღენთილი ესე „უსათაურო წერილი“ (1993), რომელიც სოხუმის დაცემას ეძღვნება. მწერლის თქმით, „ძლიერმა ერთხელ კიდევ დაჯაბნა სუსტი“, მაგრამ, მისივე შეფასებით, „სოხუმის დაცემა სამხედრო თვალსაზრისით, რასაკვირველია, დიდი მარცხია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით, ადვილი

შესაძლებელია, სწორედ ეს აღმოჩნდეს გამარჯვებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი“ (ჭილაძე 2003: 223).

„ლიტერატურნაია გაზეტას“ კორესპონდენტთან საუბრისას (1991) ოთარ ჭილაძე იმ დია წერილზე მსჯელობს, რომლითაც ერთ-ერთ ლენინგრადელ თანამოკალმეს „მეგობარი ქართველი მწერლებისადმი“ მიუმართავს მათი თანამემამულეების უმსგავსობათა გამო. ო. ჭილაძე სერიოზულ ბრალდებად მიიჩნევს ქართველი მწერლების დადანაშაულებას და მიუთითებს, რომ „ბოროტების სათავე არასწორი ინფორმაციაა და, ასე თუ გაგრძელდა“, შესაძლოა, „საქართველოს არამარტო ადმინისტრაციულ, არამედ ფიზიკურ არსებობასაც დაუსვას კითხვის ნიშანი“ (ჭილაძე 2003: 188). მწერალი ბედის დაცინვასა და „პოლიტიკურ სიბეცეს“ უწოდებს საქართველოს „მცირე იმპერიად“ მოხსენიებას.

„ბედნიერი ტანჯულის“ პუბლიკაცია, რომლის სათაურია „დავიწყოთ თავიდან“ (1996) საერთო პასუხია გაზეთ „კავკასიონის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე და მასში რუსეთთან დამოკიდებულების ქართული ტრადიციული კონცეფციის გადასინჯვის აუცილებლობაზეა მსჯელობა. მწერალი ფიქრობს, რომ ორასი წლის მანძილზე საქართველოში ქართული პოლიტიკა არ გატარებულა, „რაც თავისთავად დამოუკიდებელი აზროვნების დაქვეითებასაც ნიშნავს“. მოსახლეობის ფსიქიკის მასობრივად გადაგვარების ყველაზე შთამბეჭდავ, შემამფოთებელ მაგალითად მწერალი ქართველების მასობრივ მიგრაციას მიიჩნევს. აქტუალურია ოთარ ჭილაძის მოწოდება იმის თაობაზე, რომ უნდა გადაისინჯოს ქართული ტრადიციული კონცეფციები, ანუ უნდა დავიწყოთ თავიდან და გავარკვიოთ, რას გვავალდებულებს ქართველობა.

ამავე პათოსს აგრძელებს წერილი „რამდენიმე მოსაზრება სახელმწიფო სიმბოლიკასთან დაკავშირებით“ (1997). ავტორი მიიჩნევს, რომ ორასი წლის შემდეგ ქართველობა კვლავ იმავე დილემის წინაშეა: ერთი მხრივ, აღსადგენია ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო, მეორე მხრივ, მკაფიოდ განსასაზღვრია, „რომელ კულტურულ-ლიტერატურულ სივრცეს განეკუთვნება საქართველო თავისი ისტორიული გზითა და მსოფლმხედველობით“ (ჭილაძე 2003: 273). რაც შეეხება სახელმწიფო სიმბოლიკას, ოთარ ჭილაძის აზრით, იგი საუკუნეების მანძილზე ყალიბდება და ახალი სიმ-

ბოლიკის შექმნას უკვე არსებულის აღდგენა სჯობს. მწერალი მიიჩნევს, რომ ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი და დავით აღმაშენებლის დროშა ერში ღირსებასა და სიამაყეს აღვიძებს.

პუბლიკაცია „მიმართვა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს“ (1995) ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს. მწერალი მკაფიოდ აფიქსირებს თავის პოზიციას: მას საქართველოს ფედერაციული მოწყობა დაუშვებლად მიაჩნია.

ოთარ ჭილაძის პუბლიცისტურ-ესეისტური ნარატივი მის შემდეგი პერიოდის კრებულებშიც გრძელდება. მწერლის მხატვრულ ტექსტებშიც ხშირად გვხვდება პუბლიცისტური რეფლექსიები, რომლებშიც ავტორი ერის თუ საზოგადოების საჭირობოტო, ექსისტენციურ პრობლემატიკას აანალიზებს და საქართველოს ლიტერატურული თუ პოლიტიკური ველის არსებით მარკერებს განსაზღვრავს.

დამოწმებანი:

ანდრონიკაშვილი: ანდრონიკაშვილი ზ. *ინტელექტუალები და ინტელიგენცია*. andronikashvili.blogspot.com.

კვაჭანტირაძე 2013: კვაჭანტირაძე მ. *ვექტორები*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტი, 2013.

ჭილაძე 2003: ჭილაძე ო. *ბედნიერი ტანჯული*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2003.

Nona Kupreishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

From Literary Journalism to Literary Writings

Fall of Soviet Union as a support of totalitarianism in many respects stipulated literary tendencies of post-soviet and post-socialistic countries and those facts that followed it. Extremely tense reality so had outridden with artistic invention that artistic prose ranswered to this new challenge